

# ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11  
2018 წლის 17 იანვარი

## ქ. ლაგოდეხი

**ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირებთან და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“, „დ.დ“, „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

დამტკიცდეს ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართის შესაბამისად.

### მუხლი 2

ამ დადგენილების გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №55 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 28/12/2017, 010250050.35.167.016346).

### მუხლი 3

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №36 დადგენილების დანართი №2 ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 01/12/2017, 010250050.35.167.016327).

### მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 5 თებერვლიდან.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

